

ამერიკის შეერთებული შტატების შრომის დეპარტამენტი

ბავშვთა შრომის მძიმე ფორმების თაობაზე 2021 წელს მოპოვებული მონაცემები

საქართველო

2021 წელს საქართველომ განახორციელა საშუალო ხარისხის წინსვლა ბავშვთა შრომის მძიმე ფორმების აღმოფხვრის სფეროში. მთავრობამ გააორმაგა შრომის ინსპექციის სამსახურის ბიუჯეტი, საგრძნობლად გაზარდა შრომის ინსპექტორების რაოდენობა, და დაამტკიცა ახალი 'ეროვნული სამოქმედო გეგმა ადამიანების ტრეფიკინგის' სფეროში (2021-2022). გარდა ამისა, სახალხო დამცველის ოფისმა გამოაქვეყნა ანგარიში კოვიდ-19 პანდემიის შედეგად ბავშვთა შრომის სტატუსის შესახებ. შეიქმნა ახალი მოძრავი ჯგუფი აჭარაში ქუჩებში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების გამოსავლენად და დასახმარებლად. მიუხედავად ამისა, საქართველოში ბავშვები ექვემდებარებიან შრომის ყველაზე მძიმე ფორმებს, იძულებითი მათხოვრობის ჩათვლით. ბავშვები ასევე ჩართული არიან სასოფლო-სამეურნეო შრომაში. მიუხედავად იმ არსებითი ძალისხმევისა, რომელიც მთავრობამ გასწია ყველა საჭირო სფეროში საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, საქართველოში არსებული შრომისათვის შესაფერისი მინიმალური ასაკის ნორმები არ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს, რადგან ის არ ეხება არაფორმალურ შრომას. აგრეთვე, სისხლის სამართლის კოდექსი კატეგორიულად არ კრძალავს ბავშვების გამოყენებას არაკანონიერ ქმედებაში. უფრო მეტიც, სავალდებულო განათლების ასაკი 15 წლის ბავშვებს დაუცველს ტოვებს შრომის ყველაზე მძიმე ფორმების მიმართ, რადგან მათ არ მოეთხოვებათ სკოლაში სიარული, მაგრამ არც სრული დატვირთვით შრომის უფლება გააჩნიათ.

მთავრობისათვის შეთავაზებული რეკომენდაციები ბავშვების შრომის აღმოფხვრის მიზნით		
სფერო	რეკომენდირებული ღონისძიებები	რეკომენდირებული ვადები
კანონმდებლობა	უზრუნველყოფილი იყოს, რომ შრომის მინიმალური ასაკი ეხებოდეს ყველა ბავშვს, არაფორმალურ შრომაში ჩართული ბავშვების ჩათვლით.	2017 – 2021
	სავალდებულო განათლების ასაკის ზღვარი გაიზარდოს 16 წლამდე, - შრომის დაწყების მინიმალურ ასაკამდე.	2009 – 2021
	უზრუნველყოფილი იყოს, რომ შრომის კანონმდებლობაში განსაკუთრებით ნათლად გაიწეროს მსუბუქი შრომა, რათა ბავშვები დაცული იყვნენ მძიმე შრომაში ჩართვისაგან.	2016 – 2021
	უზრუნველყოფილი იყოს, რომ კანონში კრიმინალურად აიკრძალოს ბავშვების გამოყენება, მათთვის ნარკოტიკების წარმოებაში და გადატანაში მონაწილეობის დავალება ან შეთავაზება.	2019 – 2021

მთავრობისათვის შეთავაზებული რეკომენდაციები ბავშვების შრომის აღმოფხვრის მიზნით		
სფერო	რეკომენდირებული ღონისძიებები	რეკომენდირებული ვადები
	უზრუნველყოფილი იყოს, რომ კანონში კრიმინალურად აიკრძალოს 18 წლამდე ასაკის ბავშვების არასამთავრობო შეიარაღებულ ჯგუფებში გაწვევა.	2016 – 2021
კოორდინირება	უწყვეტად იზრდებოდეს კოორდინირება შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს შრომის დეპარტამენტის ინსპექციას და კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტს შორის.	2018 – 2021
მთავრობის პოლიტიკა	ისეთი პოლიტიკური გადაწყვეტილება იყოს მიღებული, რომელიც მიმართული იქნება ბავშვების შრომის ყველა შესაბამისი ფორმის აღმოფხვრისაკენ, ბავშვების სოფლის მეურნეობაში შრომის ჩათვლით.	2017 – 2021
სოციალური პროგრამები	მონაცემების შეგროვება და გამოქვეყნება ბავშვების შრომის მასშტაბების და თავისებურებების თაობაზე, - სოფლის მეურნეობაში ბავშვების შრომის გამოყენების ჩათვლით, - პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღები პირებისთვის და პროგრამებისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით.	2018 – 2021
	დამატებითი ძალისხმევის გაღება, რათა რეგისტრირებული იყვნენ ბოშათა დასახლებების ბავშვები, გაიცეს მათზე პირადობის მოწმობები, და უზრუნველყოფილი იყოს მათთვის განათლების მისაწვდომობა.	2018 – 2021
	უზრუნველყოფილი იყოს, რომ იმ ბავშვებისთვის, რომლებიც ქართულ და რუსულ ენებზე ვერ საუბრობენ, ასევე, სოციალურად დაუცველი, ღარიბი ოჯახების, უნარშეზღუდული ბავშვებისთვის, და პერიფერიებში მცხოვრები ბავშვებისთვის გაუმჯობესდეს განათლების ხელმისაწვდომობა.	2019 – 2021
	არსებული პროგრამების გაფართოება, რათა ეს პროგრამები მუშაობდნენ ბავშვების შრომის პრობლემებზე, განსაკუთრებით ქუჩის ბავშვების პრობლემებზე.	2018 – 2021